



0001121387110031



## დადგენილება

15 ივნისი, 2018 წელი

ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
მოსამართლე - ლევან მურუსიძე

საჩივრის ავტორი - ი/მ „ანი გაჩეჩილაძე“

მოწინააღმდეგე მხარე (ოქმის შემდგენი ადმინისტრაციული ორგანო) - ქალაქ  
თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

გასაჩივრებული დადგენილება - თბილისის საქალაქო სასამართლოს  
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 04 მაისის დადგენილება  
საჩივრის განხილვის ფორმა - ზეპირი მოსმენის გარეშე

### აღწერილობითი ნაწილი:

2018 წლის 26 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა  
კოლეგიაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო  
სამსახურიდან შევიდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და მასალები ი/მ  
„ანი გაჩეჩილაძის“ მიმართ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევითა  
კოდექსის 159-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის  
ჩადენისათვის.

წარდგენილი სამართალდარღვევის მასალებით და სასამართლო განხილვისას  
დადგენილია:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის  
მიერ 2018 წლის 18 აპრილს ი/მ „ანი გაჩეჩილაძის“ მიმართ შედგა N000671  
ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმი, რომლის თანახმად, ი/მ „ანი  
გაჩეჩილაძის“ მიერ ფეისბუქ გვერდზე, ასევე წარმოებულ პროდუქტზე განთავსებული  
იქნა არაეთიკური რეკლამა, რითაც დაირღვა რეკლამის წარმოებისა და გავრცელების  
წესი.

საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენის, წარმოდგენილი მტკიცებულებათა გაცნობისა და დავის სასამართლო სხდომაზე განხილვის საფუძველზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ი/მ „ანი გაჩერილაძე“ ცნობილი უნდა იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 159-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე შემდეგ გარემობათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პირველი მუხლით განსაზღვრულია თუ რა წესით შეიძლება დაედოს ადმინისტრაციული სახდელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს. ამავე კოდექსის მე-8 მუხლის თანაბად, არავის არ შეიძლება შეეფარდოს ზემოქმედების ზომა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო, თუ არა კანონმდებლობით დადგენილ საფუძველზე და წესით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლით განსაზღვრა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ცნება, რომლის თანაბად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მეორე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობა შედგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებისაგან. ამავე კოდექსის 231-ე მუხლით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების წესი სასამართლოებში განისაზღვრება ამ კოდექსით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 33-ე მუხლის თანაბად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის სახდელი დაედება იმ ნორმატიული აქტით დაწესებულ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევისათვის ამ კოდექსის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ სხვა აქტების ზუსტი შესაბამისობით. სახდელის დადებისას მხედველობაში მიიღება ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათი, დამრღვევის პიროვნება, მისი ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამდიმებელი გარემოებანი.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე

მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, ორგანო (თანამდებობის პირი) დაადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობას ან არასებობას, პირის ბრალეულობას მის ჩადენაში და სხვა გარემოებებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. ამავე ნორმის მე-2 ნაწილით, ეს მონაცემები დადგინდება შემდეგი საშუალებებით: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით, ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში მიცემული პირის ახსნა-განმარტებით, დაზარალებულისა და მოწმის ჩვენებებით, ექსპერტის დასკვნით, ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული გამოკვლევის (ტესტირების) შედეგებით, ვიდეოფირით ან ფოტოფირით, ნივთიერი მტკიცებულებით, ნივთისა და დოკუმენტის ამოღების ოქმით და სხვა დოკუმენტებით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 264-ე მუხლის თანახმად, ორგანო (თანამდებობის პირი) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისას მოვალეა დაადგინოს ჩადენილი იყო თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ბრალეულია თუ არა პირი მის ჩადენაში, ექვემდებარება თუ არა იგი ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, არის თუ არა შემამსუბურებელი და დამამტმიშებული გარემოებები, მიყენებულია თუ არა ქონებრივი ზარალი, აგრეთვე გამოარკვიოს სხვა გარემოებანი, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 159-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, რეკლამის დაკვეთის, წარმოებისა და გავრცელებისათვის დადგენილი წესების დარღვევა – გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას – 3 000 ლარის ოდენობით.

„რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შეორუ პუნქტის თანახმად, კანონის მიზანია რეკლამის სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება, საზოგადოებრივი ინტერესების, რეკლამის სუბიექტებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა, არასათანადო რეკლამის თავიდან აცილება და აღკვეთა.

„რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „რეკლამა“ განმარტებულია, როგორც საქონელზე, მომსახურებასა და სამუშაოზე (შემდგომში-საქონელზე), ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, იდეისა და წამოწყებაზე ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც გამიზნულია პირთა განუსაზღვრელი წრისათვის და ემსახურება ფიზიკური და იურიდიული პირების, საქონლის, იდეისა და წამოწყებისადმი ინტერესის უორმონიებასა და შენარჩუნებას, აგრეთვე საქონლის, იდეისა და წამოწყების რეალიზაციის ხელშეწყობას. აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, არასათანადო რეკლამა განმარტებულია, როგორც არაკეთილსინდისიერი, არასარწმუნო, არაეთიკური, შეცდომაში შემყვანი ან სხვა რეკლამა, რომელიც დარღვეულია მისი შინაათასის.

დროის, ადგილის ან გავრცელების წესების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები. მითითებული მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, არაეთიკურია რეკლამა, რომელიც ფიზიკურ პირთა ეროვნების, რასის, პროფესიის, სოციალური კუთვნილების, ასაკის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და ფილოსოფიური მრჩამისის მიმართ შეურაცხმყოფელი სიტყვებისა და შედარებების გამოყენებით არღვევს საყოველთაოდ აღიარებულ ჰუმანურ და ზნეობრივ ნორმებს, ხელყოფს ეროვნულ და მსოფლიო კულტურულ საგანძურში შემავალ ხელოვნების ობიექტებს, ისტორიულ და არქიტექტურულ ძეგლებს, ბლალავს სახელმწიფო სიმბოლიკას (დროშა, გერბი, პიმნი), საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს ეროვნულ ფალუტას, რელიგიურ სიმბოლოებს, ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, მათ საქმიანობას, პროფესიას ან საქონელს.

სასამართლომ განმარტა - აღნიშნული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ კანონმდებელი არაეთიკურ რეკლამად მიიჩნევს შეურაცხმყოფელი სიტყვებისა და შედარებების გამოყენებით საყოველთაოდ აღიარებულ ჰუმანურ და ზნეობრივ ნორმების დარღვევას, რომელიც ფიზიკურ პირთა ეროვნების, რასის, პროფესიის, სოციალური კუთვნილების, ასაკის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და ფილოსოფიული მრჩამისის მიმართ ხელყოფს ეროვნულ და მსოფლიო კულტურულ საგანძურში შემავალ ხელოვნების ობიექტებს, ისტორიულ და არქიტექტურულ ძეგლებს და ბლალავს სახელმწიფო სიმბოლიკას (დროშა, გერბი, პიმნი), საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს ეროვნულ ფალუტას, რელიგიურ სიმბოლოებს, ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, მათ საქმიანობას, პროფესიას ან საქონელს.՝

„რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მერვე პუნქტის თანახმად, აკრძალულია არასათანადო რეკლამის განთავსება და გავრცელება. იგი ჩადენილი ქმედების, საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხისა და ხასიათის შესაბამისად იწვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება, რომ ი/მ „ახო გაჩეჩილაძემ“ ფეისბუქ გვერდზე და წარმოებულ პროდუქტზე განათავსა შემდეგი სახის რეკლამები: 1. წარწერა - „ჩამოვკრავდი, მარა ნათლისლებაა“; 2. წარწერა - „ძლევად საკვირველი“ და გამოსახულება; 3. წარწერა - „სამეუღ კარი თამარში“ და გამოსახულება; 4. გამოსახულება - „მაკურთხებელი ხელი“.

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ განმარტა შემდეგი:

1. წარწერა - „ჩამოვკრავდი, მარა ნათლისლება“ - ნათლისლება უძველესი ქრისტიანული დღესასწაულია, თორმეტ საუფლო საეკლესიო დღესასწაულად ერთ-ერთი. სახარების მიხედვით, ეს დღესასწაული უკავშირდება მდინარე იორდანეში იოანე ნათლისმცემლის მიერ მაცხოვრის ნათლისლებას, ანუ მონათვლას, სწორედ ამ დღიდან იღებს სათავეს ნათლობის წესი და საკვლესით პირველი საიდუმლო.

2. წარწერა - „ძღვევად საკვირველი“ და გამოსახულება - დიდგორის ბრძოლა ანუ ძღვევად საკვირველი. დიდგორის ბრძოლას გამორჩეული ადგილი უკავთა საქართველოს ისტორიაში. ეს გამარჯვება დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის, ერთიანობის, ქვეყნისთვის თავდადების სიმბოლოა. პროდუქტზე გამოსახულია სამეფო გვირგვინი, რომელიც ეროვნული ღირებულების მატარებელია.

3. წარწერა - „სამეფო კარი თამარში“ და გამოსახულება - თამარ მეფე იყო საქართველოს მონარქი 1184 წლიდან, ბაგრატიონთ სამეფო დინასტიის წარმომადგენელი. თამარი ატარებდა ტიტულს: „მეფეთ მეფე და დედოფალთ დედოფალი აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შირვანთა და შაჰინშათა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითმფლობელობითა მპერობელი“, მართლმადიდებელმა ეკლესიაში თამარ მეფე წმინდანად შერაცხა, მისი სახე საქართველოში არაერთ ფრესკაზე არის გამოსახული.

4. გამოსახულება - „მაკურთხებელი ხელი“ - ხელის ქესტიკულაცია, რომლის გამოყენება ხდება რელიგიური პირების მიერ. მაკურთხებელი ხელი გამოსახულია არაერთი წმინდანის ხატზე, ასევე მას იყენებენ სასულიერო პირები მრევლის კურთხევის მიზნით.

ამდენად, სასამართლოს შეფასებით, ი/მ „ანი გაჩეჩილაძის“ მიერ „აიისას“ ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე და ასევე წარმოებულ პროდუქტზე განთავსებული რეკლამები თავისი წარწერებით და გამოსახულებებით არაეთიკურია, რომელიც რელიგიის მიმართ შეურაცხმყოფელი სიტყვებისა და შედარებების (გამოსახულებები) გამოყენებით არღვევს საყოველთაოდ აღიარებულ პუმანურ და ზნეობრივ ნორმებს, ხელყოფს რელიგიურ სიმბოლოებს, ასევე რეკლამები თავის წარწერებითა და გამოსახულებებით ხელყოფს ეროვნულ და ისტორიულ საგანძურს, ძეგლებს.

ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში მიცემული პირი თავის პოზიციაში მიუქოთებს ჩარევის არაკონსტიტუციურობის თაობაზე გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებებით. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში ჩამოთვლილ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ანსაზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამუღავნების თავიდან ასაცილებლად

ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

ამდენად, საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტით განმტკიცებული იქნა ადამიანის მირითად უფლებათაგან და თავისუფლებათაგან ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლება, წებისმიერმა ადამიანმა თავისუფლად მიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით, თუმცა ამავე მუხლის მე-4 პუნქტით რეგლამენტირებული იქნა ამ უფლებათა განხორციელების შეზღუდვა მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ იგი აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიალური მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამეღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად. ანალოგიური პრინციპია გატარებული ადამიანის უფლებათა და მირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლში, რომელიც ითვალისწინებს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას, თუ აღნიშნული ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს. კერძოდ, ადამიანის უფლებათა და მირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად, ყველასათვის გარანტირებულია გამოხატვის თავისუფლება, თუმცა ხსენებული მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილია ის შეზღუდვები რასაც ამ თავისუფლების განხორციელება შეიძლება დაქვემდებაროს, კერძოდ, „ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ის განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაქვემდებაროს ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ... მორალის დაცვის მიზნით, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად“.

როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე პუნქტისაგან გაურთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Handyside v. The United Kingdom*, N 5493/72, 07 დეკემბერი 1976 წ., გვ 48-50, განმარტა:

კონვენციით დაფუძნებული დაცვის მექანიზმი დამატებითია ეროვნულ სისტემებთან მიმართებაში, რომლებიც ადამიანის უფლებებს უზრუნველყოფენ (...). კონვენცია, პირველ რიგში, სწორედ თითოეულ ხელშემკვრელ სახელმწიფოს ავალდებულებს, უზრუნველყოს მასში გაცხადებული უფლებები და თავისუფლებები. კონვენციის საფუძველზე შექმნილ ინსტიტუციებს თავიანთი წვლილი შეაქვთ ამ ამოცანის გამოხორციელებაში, მაგრამ მათი ჩართვა ხდება მხოლოდ პაკტობითი პროცესის (contentious proceedings) მეშვეობით და ყველა შიდა სამართლებრივი შისაგებლის ამოწურვის შემდეგ (...).

ეს მიდგომები გამოიყენება განსაკუთრებით მე-10 მუხლის მიმართ: კერძოდ, შეუძლებელია სხვადასხვა ხელშემკვრელ სახელმწიფოთა შიდა სამართალში

ერთგვაროვანი ევროპული კონცეფცია არსებობდეს მორალის თაობაზე. შესაბამისი კანონებით გათვალისწინებული მოსაზრებები მორალის მოთხოვნების შესახებ განსხვავებულია სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა დროს, განსაკუთრებით კი, ჩვენს ეპოქაში, ... . თავიანთი ქვეყნის რეგალიებთან თავიანთი პირდაპირი და უწყვეტი კონტაქტის წყალობით სახელმწიფოს ხელისუფლება, პრინციპულად უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე საერთაშორისო მოსამართლე, გამოთქვას აზრი ამ მოთხოვნების ზუსტი შინაარსის, ისევე როგორც „შეზღუდვებისა“ და „სანქციების“ „აუცილებლობის“ თაობაზე, რომელთაც ამ ამოცანის შესრულება ეკისრება. ... შესაბამისად, მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი ხელშემკვრელ სახელმწიფოებს უტოვებს თავისუფალი შეფასების ფარგლებს. ეს ფარგლები გადაცემული აქვს როგორც შიდა კანონმდებელს („კანონით გათვალისწინებული“), ისე სხვა ორგანოებს, მათ შორის, სასამართლოებს, რომლებიც მოწოდებულნი არიან განმარტონ და გამოიყენონ ძალაში მყოფი კანონები.

ამის მიუხედავად, მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი არ ანიჭებს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შეფასების შეუზღუდავ თავისუფლებას. სასამართლო, ..., პასუხისმგებელია ამ სახელმწიფოთა მიერ თავიანთი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფაზე (...); უფლება აქვს სამოლოო შეფასება მისცეს, თუ რამდენად შეთავსებადია „შეზღუდვები და სანქციები“ მე-10 მუხლით დაცულ გამოხატვის თავისუფლებასთან. ...

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლოს ამოცანა კომპეტენტური ეროვნული სასამართლოების ჩანაცვლება კი არ არის, არამედ იმ გადაწყვეტილებების მე-10 მუხლის საფუძველზე გადამოწმება, რომლებიც მათ მიერ შეფასების თავისუფლების განხორციელების პირობებშია გამოტანილი.”

ასევე ნიშანდობლივია, რომ ევროპულმა სასამართლომ დაადგინა რა, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას საქმეზე მიუღერი და სხვები შვეიცარიის წანააღმდეგ (*Müller and Others v. Switzerland*, N 10737/84, 24 მაისი, 1988 წ., გ36, აღნიშნა შემდეგი:

შვეიცარიის სასამართლოების მსგავსად, (ევროპული) სასამართლოც აღიარებს, რომ სექსუალური მორალის ცნება ბოლო წლებში მნიშვნელოვნად შეიცვალა. ამის მიუხედავად, სასამართლო არაგონივრულს ვერ უწოდებს შვეიცარიის სასამართლოების თვალსაზრისს ამ ნახატების თაობაზე, რომლებშიც ყველაზე უფრო უხეში ფორმით გამოხატული სექსუალურობა „იყო იმდენად ვულგარული, რომ შეეძლო შეურაცხყოფა მიეყენებინა ჩვეულებრივი მკრძობელობის ადამიანის სექსუალური წესიერების გრძნობებისათვის“. ამ გარემოებებში, მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით ნაგულისხმები შეფასების თავისუფლების ფარგლების გათვალისწინებით, შვეიცარიის სასამართლოებს შეეძლოთ მორალის დასაცავად „აუცილებლად“ მიეჩნიათ მოსარჩევლება დაჯარიშება უხამსი მასალის გამოქვეყნებისათვის. ...

სასამართლო ასევე ყურადღებას მიაქცევს მხარის მიერ მითითებულ საქმეზე, *SEKMADIENIS LTD.* ლიტვის წინააღმდეგ (*SEKMADIENIS LTD. v. Lithuania*), N 69317/14, §§ 76, 77, ECHR 2018, ამ საქმეში ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ:

... რეკლამა ატარებდა კომერციულ მიზანს, ტანსაცმლის ხაზის რეკლამირებას, და არ იყო გამიზნული იმისთვის, რომ რაიმე შეეძინა საზოგადოებრივი დებატისთვის რელიგიის ან სხვა საზოგადო ინტერესის საკითხზე (...). შესაბამისად, ეროვნული ხელისუფლებების შეფასების თავისუფლება ამ საქმესთან დაკავშირებით, უფრო ფართოა ... .

თავად რეკლამის შესწავლის შედეგად, სასამართლომ მიიჩნია, რომ საბოლოო ჯამში ის არ გამოიყურება როგორც უადგილოდ შეურაცხმყოფელი ან მაგინებელი და ისინი არ აღძრავენ სიძულვილს რელიგიური რწმენის საფუძველზე ან არ ესხმიან თავს რელიგიას შეუფერებელი ან შეურაცხმყოფელი ფორმით ...

ასევე, საქმეზე *Otto-Preminger-Institut* ავსტრიის წინააღმდეგ (*Otto-Preminger-Institut v. Austria*), N 13470/87, 20 სექტემბერი 1994 წ., § 56, ევროპულმა სასამართლომ, დაადგინა რა, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას, განმარტა შემდეგი:

ავსტრიის სასამართლოებმა, დააყადალეს და, საბოლოოდ, მოახდინეს ფილმის კონფისკაცია, მიუთითეს რა, რომ ის იყო გაუმართლებელი თავდასხმა კათოლიკურ რელიგიაზე, ტიროლელი საზოგადოების რწმენის თანახმად. მათი გადაწყვეტილებებიდან იკვეთებოდა, რომ მათ სათანადო მნიშვნელობა მიანიჭეს მხატვრული შემოქმედების თავისუფლებას, რაც გარანტირებულია კონვენციის მე-10 მუხლით .... . სასამართლოებმა ფილმის ნახვის შემდეგ, აღნიშნეს, რომ ეს იყო მამა ღმერთის, ქალწული მარიამისა და იესო ქრისტეს პროვოკაციული გამოსახვა ... სასამართლოს არ შეუძლია იმ ფაქტის უგულებელყოფა, რომ კათოლიკური რელიგია ტიროლელთა აბსოლუტური უმრავლესობის რელიგიაა. ფილმის დაყადალებით ავსტრიის ხელისუფლება მოქმედებდა ... რელიგიური სიმშვიდის უსრუნველყოფის მიზნით და იმის პრევენციისთვის, რომ ადამიანთა ნაწილს არ განეცადა მათ რელიგიურ გრძნობებზე თავდასხმა გაუმართლებელი და შეურაცხმყოფელი ფორმით. პირველ რიგში ეროვნული ხელისუფლებაა ის, ვინც უკეთეს პოზიციაშია, ვიდრე საერთაშორისო მოსამართლე, შეაფასოს ასეთი ზომის აუცილებლობა იმ სიტუაციის ფონზე, რასაც ადგილი აქვს კონკრეტულ ადგილას, კონკრეტულ დროს. ამ საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით, სასამართლოს არ შეუძლია მიიჩნიოს, რომ ავსტრიის ხელისუფლებამ, აღნიშნულთან დაკავშირებით, გადალახა თავისი შეფასების თავისუფლების ზღვარი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ მიიჩნია, რომ ი/მ „ანი გაჩერილაძე“ ცნობილი უნდა იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 159-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის და

ადმინისტრაციული სახდელის სახით განესაზღვრა ჯარიმა - 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 41-ე მუხლის თანახმად, მოსამართლე ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესახებ დადგენილებით ადასტურებს იმ მოვალეობის შესრულების ვალდებულებას, რომლის შეუსრულებლობისთვისაც პირს შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი, და დადგენილებაში განსაზღვრავს დარღვევის გამოსასწორებლად გასატარებელ ღონისძიებებს, რომელთა აღსრულებაც ხდება კანონით დადგენილი წესით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ი/მ „ანი გაჩეჩილაძეს“ აეკრძალა პროდუქტზე განთავსებული არაეთიკური რეკლამების - „სამეფო კარი თამარში“ (წარწერა და გამოსახულება), „ძლევაი საკვირველი“ (წარწერა და გამოსახულება), „ჩამოყერავდი, მარა ნათლისძებაა“ (წარწერა), „მაკურთხებელი ხელი“ (გამოსახულება) გავრცელება/განთავსება (პროდუქტზე, სოციალურ ქსელში და სხვა) და დაევალა გავრცელებული/განთავსებული აღნიშნული არაეთიკური რეკლამების ამოღება საქართველოს სასაქონლო ბაზრიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 2018 წლის 04 მაისის დადგენილება ი/მ „ანი გაჩეჩილაძის“ წარმომადგენლებმა გაასაჩივრეს საჩივრით.

#### სამოტივაციო ნაწილი:

თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა გაეცნო წარმოდგენილ საჩივარს, საქმეში არსებულ მასალებსა და მიიჩნევს, რომ ი/მ „ანი გაჩეჩილაძის“ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 2018 წლის 04 მაისის დადგენილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა მიიჩნევს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სამართლებრივი თვალსაზრისით სწორად შეაფასა საქმესთან დაკავშირებული ყველა ფაქტობრივი გარემოება; თავის მხრივ, მომჩივანმა თავის საჩივარში ვერ გააქარწყლა პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი დასკვნები, ვერ მიუთითა და ვერ წარმოადგინა ისეთი არგუმენტი, რომლებზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა საქმეზე დადგენილი ფაქტების სხვაგვარი სამართლებრივი შეფასება; საპელაციო პალატა დამატებით მიუთითებს მემდეგს:

საქართველოს კონსტიტუციის 44-ე მუხლის, პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოში მცხოვრები ყოველი პირი ვალდებულია ასრულებდეს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნებს.

საქართველოს კონსტიტუციის აღნიშნული ნორმა მართლწესრიგის განმტკიცებასა და

სამართლებრივი სახელმწიფოს უზრუნველყოფას ისახავს მიზანად, რაც სახელმწიფოს არსისა და მისი ნიშან-თვისებებიდან გამომდინარეობს.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი განსაზღვრავს, თუ რომელი მოქმედება ან უმოქმედობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომელი ადმინისტრაციული სახდელი, რომელი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ რა წესით შეიძლება დაედოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს. ამასთან, ამავე კოდექსის მე-10 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ზრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

პალატა ასევე მოიხმობს ხსენებული საკანონმდებლო აქტის მე-8 მუხლს, რომელიც ადგენს, რომ არავის არ შეიძლება შეეფარდოს ზემოქმედების ზომა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო, თუ არა კანონმდებლობით დადგენილ საფუძველზე და წესით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს აწარმოებენ კანონიერების მკაფრი დაცვის საფუძველზე. საამისოდ უფლებამოსილი ორგანოები და თანამდებობის პირი ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომებს შეუფარდებენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობის ზუსტი შესაბამისობით.

პირის სამართალდამრღვევად ცნობისათვის და შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებული სახდელის დადებისათვის უპირველეს ყოვლისა უნდა დადგინდეს სამართალდარღვევის ფაქტის არსებობა, ხოლო შემდეგ მისი ბრალეულობა ამ ფაქტის დადგომაში, რაც უნდა დადასტურდეს სათანადო მტკიცებულებებით, ხოლო თუ რა შეიძლება მიჩნეულ იქნეს სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებად მოცემულია საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლი.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, 1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, ორგანო (თანამდებობის პირი) დაადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობას ან არარსებობას. პირის ბრალეულობას მის ჩადენაში და სხვა გარემოებებს. რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. 2. ეს მონაცემები დადგინდება შემდეგი საშუალებებით: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით, ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში მიცემული პირის ახსნა-განმარტებით, დაზარალებულისა და მოწმის ჩვენებებით, ექსპერტის დასკვნით, ალვოპოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული გამოკვლევის (ტესტირების) შედეგებით, ვიდეოფირით ან ფოტოფირით, ნივთიერი მტკიცებულებით, ნივთისა და დოკუმენტის ამოღების ოქმით და სხვა დოკუმენტებით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 237-ე მუხლის

თანახმად, ორგანო (თანამდებობის პირი), ხელმძღვანელობს კანონით და მართლშეგნებით, მტკიცებულებას შეაფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რაც დამყარებულია საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევაზე.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმალური კანონიერების თვალსაზრისით საჩივარში დასმულ საკითხთან დაკავშირებით, პალატა საჩივრის აუტორს დამატებით განუმარტავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი შეიცავს ადმინისტრაციული წარმოების განსაკუთრებულ სახეს ადმინისტრაციული სანქციების დადებასთან დაკავშირებით. მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით კანონმდებელი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა განზიღვისას განსხვავებულ სახეს, განსხვავებულ პროცედურას ამკვიდრებს, მმართველობითი ფუნქციის სპეციფიკიდან გამომდინარე.

პალატა აქვე განმარტავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 240-ე მუხლს, რომლის თანახმადაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში აღინიშნება: მისი შედგენის თარიღი და ადგილი; შემდგენის თანამდებობა, სახელი, მამის სახელი და გვარი; მონაცემები დამრღვევის პიროვნების შესახებ, მათ შორის, პირადი ნომერი ან გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი; ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი; ნორმატიული აქტი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამ სამართალდარღვევისათვის; მოწმეთა და დაზარალებულთა გვარები და მისამართები, თუ ისინი არიან; დამრღვევის ახსნა-განმარტება; საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა ცნობები. ოქმს ხელს აწერენ მისი შემდგენი და სამართალდამრღვევი, გარდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირის მიერ გამოცემული ელექტრონული საჯარიმო ქვითრისა. ოქმს შეიძლება ხელი მოაწერონ აგრეთვე მოწმეებმა და დაზარალებულებმა, მათი არსებობის შემთხვევაში.

მოცემული ნორმის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმში სხვა რეკვიზიტებთან ერთად უნდა მიეთითოს სამართალდარღვევის არსი. აღნიშნული, რასაკვირველია, არ მოიცავს მხოლოდ ნორმის შინაარსზე, ან ზოგადად დარღვევაზე მითითებას. თუმცა, მიუხედავად აღნიშნულისა, პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სასამართლოში სამართალდარღვევის ოქმი წარმოდგენილია თანდარტულ მასალებთან ერთად. კვერძოდ, სამართალდარღვევის ოქმში მითითებულია, რომ ი/მ „ანი გაჩერილაძის“ მიერ ფეისბუქ გვერდზე, ასევე წარმოებულ პროდუქტზე განთავსებული იქნა არაეთიკური რეკლამა, რითაც დაირღვა რეკლამის წარმოებისა და გაერცელების წესი და სასამართლოში წარმოდგენილია კონკრეტული პროდუქციის ოთხი ფოტოსურათი. პალატა მიუთითებს, რომ სასამართლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს იხილავს სამართალდარღვევის ოქმისა და თანდარტული მტკიცებულებების ერთობლიობით, შესაბამისად, მხოლოდ ის გარემოება, რომ უშუალოდ სამართალდარღვევის ოქმში არ არის დაკონკრეტული, რომელ არაეთიკურ რეკლამაზე შედგა სამართალდარღვევის ოქმი, არ შეიძლება გახდეს

ოქმის ფორმალურად გაუმართავად ჩათვლის და ამ საფუძველზე, ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში მიცემული პირის სახდელისაგან გათავისუფლების საფუძველი.

საჩივრის ავტორის შუამდგომლობასთან დაკავშირებით სასამართლომ შეაჩეროს საქმის განხილვა და მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს, პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია, მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს, იმ წინაპირობით, რომ საქმის განმხილველი სასამართლო გამოსაყენებელი ნორმის კონსტიტუციურობას ეჭვავეშ აყენებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, თუ საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო დაასკვნის, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი, რათა ესა თუ ის კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც უნდა გამოიყენოს სასამართლომ ამ საქმის გადაწყვეტისას, მთლიანად ან ნაწილობრივ შეიძლება მიჩნეულ იქნეს საქართველოს კონსტიტუციის შეუსაბამოდ, იგი შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს. საქმის განხილვა განახლდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თუ საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო დაასკვნის, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი, რათა ის კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც უნდა გამოიყენოს სასამართლომ ამ საქმის გადაწყვეტისას, მთლიანად ან ნაწილობრივ მიჩნეული იქნეს კონსტიტუციის შეუსაბამოდ, იგი შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს. საქმის განხილვა განახლდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ.

განსახილველ შემთხვევაში, სასამართლო არ იზიარებს საჩივრის ავტორის მოსაზრებას „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტების არაკონსტიტუციურობასთან დაკავშირებით. პალატა განმარტავს, რომ მოცემული შუამდგომლობა უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია, ვინაიდან სასამართლოს არ გააჩნია საკმარისი საფუძველი მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებით.

რაც შეეხება, საჩივრის ავტორის მოსაზრებას, იმასთან დაკავშირებით, რომ ი/შ „ანი გაჩერილამის“ მიერ გამოიყენებული ინფორმაციის გავრცელების ფორმები არ ექცევა საქართველოს „რეკლამის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული რეკლამის დეფინიციაში, სასამართლო მიუთითებს შემდეგს:

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 159-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, რეკლამის დაკვეთის, წარმოებისა და გავრცელებისათვის

დადგენილი წესების დარღვევა, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას – 3 000 ლარის ოდენობით.

„რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შეორე პუნქტის თანახმად, კანონის მიზანია რეკლამის სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება, საზოგადოებრივი ინტერესების, რეკლამის სუბიექტებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა, არასათანადო რეკლამის თავიდან აცილება და აღკვეთა.

„რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, რეკლამა განმარტებულია, როგორც საქონელზე, მომსახურებასა და სამუშაოზე (შემდგომში-საქონელზე), ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, იდეისა და წამოწყებაზე ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც გამიზნულია პირთა განუსაზღვრელი წრისათვის და ემსახურება ფიზიკური და იურიდიული პირების, საქონლის, იდეისა და წამოწყებისადმი ინტერესის ფორმირებასა და შენარჩუნებას, აგრეთვე საქონლის, იდეისა და წამოწყების რეალიზაციის ხელშეწყობას.

აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, არასათანადო რეკლამა განმარტებულია, როგორც არაკეთილსინდისიერი, არასარწმუნო, არაეთიკური, შეცდომაში შემყვანი ან სხვა რეკლამა, რომელშიც დარღვეულია მისი შინაარსის, დროის, ადგილის ან გავრცელების წესების ~შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები. მითითებული მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, არაეთიკურია რეკლამა, რომელიც ფიზიკურ პირთა ეროვნების, რასის, პროფესიის, სოციალური კუთვნილების, ასაკის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და ფილოსოფიური მრწამსის მიმართ შეურაცხმყოფელი სიტყვებისა და შედარებების გამოყენებით არღვევს საყოველთაოდ აღიარებულ პუმანურ და ზნეობრივ ნორმებს, ხელყოფს ეროვნულ და მსოფლიო კულტურულ საგანმურში შემავალ ხელოვნების ობიექტებს, ისტორიულ და აზტატიკურულ ძეგლებს, ბდალავს სახელმწიფო სიმბოლიკას (დროშა, გერბი, პიმი), საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს ეროვნულ ვალუტას, რელიგიურ სიმბოლოებს, ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, მათ საქმიანობას, პროფესიას ან საქონელს.

„რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მერვე პუნქტის თანახმად, უძალეულია არასათანადო რეკლამის განთავსება და გავრცელება. იგი ჩადენილი წედების, საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხისა და ხასიათის შესაბამისად იწვევს კუროველოს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

ტა განმარტავს, რომ კანონი არის კანონმდებლის მიზნის განხორციელების ტრუმენტი და ამიტომ ის უნდა განიმარტოს მიზანმიმართულად. სასამართლომ მა გამოიყენოს განმარტების ისეთი წესები, რომლის მიხედვით კანონი უნდა იყოს ტრუმენტული კანონმდებლის მიზნისა და მისი განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფის. იმისათვის რომ სასამართლოს მიერ სრულყოფილად და ჯეროვნად უხდეს საქმის არსი, აუცილებელია სწორად მოხდეს იმ საკანონმდებლო ნორმის

ანალიზი, რის საფუძველზეც შედგენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.

პალატა მიუთითებს, კანონმდებლის სუბიექტურ, ასევე კანონის ობიექტურ წებაზე, რაც გამოიხატება იმაში, რომ გარკვეული პროდუქტისა თუ მომსახურების რეკლამირების განზრახვიდან წარმოშობილი სამართალურთიერთობის რეგულირებისას აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული საზოგადოებაში დამკავიდრებული ეთივური სტანდარტები. არსებითია, რომ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა, თუ სხვა ეროვნულ დონეზე არსებულ საკანონმდებლო აქტებიან ერთად, „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონი უზრუნველყოფს ერთი მხრივ, კონკრეტულ (რეკლამის) სფეროში თავისუფალი მოქმედების ფარგლებს, თუმცა ასევე აწესებს თავისუფალ მოქმედებათა ზღვარსაც.

პალატა განმარტავს, რომ „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის მიერ დაწესებული შეზღუდვის ღონისძიება გამოწვეულია სწორედ საჯარო მორალის იმგვარი დაცვით, რომელიც თავის მხრივ ხელს უწყობს ეროვნულ დონეზე მშვიდობიან, პლურარისტული და ტოლერანტული საზოგადოების ჩამოყალიბებას და ზღუდვას ისეთ ქმედებას, რომელიც სწორედ აღნიშნულ მიზანს უქმნის საფრთხეს. ამასთან, სასამართლო აღნიშნავს, რომ კანონის მიზანია არა რომელიმე ინდივიდის სუბიექტური აღქმების დაცვა, არამედ მხოლოდ ობიექტურად - გარეგნულად და შინაარსობრივად იმგვარი ქმედების აღკვეთა, რომელიც საჯარო მორალთან აშკარად წინააღმდეგობრივია. ამასთან, სეკულარული სახელმწიფოს მიზანს არ წარმოადგენს, რომელიმე რელიგიისათვის პრივილეგიების მინიჭება და მისი აღმატებულ ხარისხი დაცვა კანონმდებლობით. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს მიაჩნია, რომ რელიგიისა და რელიგიური ორგანიზაციების გარანტიებისა და სახელმწიფოსგან დამოუკიდებლობისა თუ ავტონომიის ფარგლებზე მსჯელობა არ არის აუცილებელი.

დადგენილია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 2018 წლის 18 აპრილს ი/მ „ანი გაჩეჩილამის“ მიმართ შედგა N000671 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმი, რომლის თანახმად, ი/მ „ანი გაჩეჩილამის“ მიერ „ფეისბუქ“ გვერდზე, ასევე წარმოებულ პროდუქტზე განთავსებული იქნა არაეთიკური რეკლამა, რითაც დაირღვა რეკლამის წარმოებისა და გავრცელების წესი.

დადგენილია, რომ ი/მ „ანი გაჩეჩილამე“ ფეისბუქ გვერდზე და წარმოებულ პრეზირვატივებზე განათავსა შემდეგი სახის წარწერები: „ჩამოვკრავდი, მარა ნათლისდებაა“; „ძლევად საკვირველი“ და გამოსახულება: „სამეურ კარი თამარში“ და გამოსახულება; გამოსახულება - „მაკურთხებელი ხელი“.

ზემოთ მითითებული სამართლებრივი წორმებისა და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ურთიერთმშეჯერების შედეგად, პალატა ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ პროდუქტზე განთავსებული ვიზუალიზაცია, წარმოადგენს

რა პროდუქტის შემადგენელ ნაწილს, ამის გამო არ შეიძლება მოქცეულ იქნეს რეკლამის ცნებაში. ასეთი განმარტების შედეგად საერთოდ აზრს დაკარგავდა ნებისმიერი პროდუქციის შეფუთვაზე გამოსახულების დატანა.

პალატა განსახილველ შემთხვევაში, კონკრეტულ გამოსახულებებს მიიჩნევს სუბსტანციად, პროდუქტისგან დამოუკიდებლად არსებულ დანამატად, მისი განთავსებით არ განისაზღვრება კონკრეტული პროდუქტის საჭირო მახასიათებლები, აღნიშნულით ხორციელდება მხოლოდ პროდუქტის რეკლამირება.

შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოებული პროდუქციის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, იდეისა და წამოწყებისადმი ინტერესის ფორმირებასა და შენარჩუნებას, აგრეთვე საქონლის, იდეისა და წამოწყების რეალიზაციის ხელშეწყობას, პირველ რიგში ემსახურება სწორედ თვით პროდუქტზე ან/და მის შეფუთვაზე დატანილი ვიზუალიზაცია. სწორედ გასაყიდად გამზადებული პროდუქტის შეფუთვის გარეგნული იერსახით ხდება პირველადი ინფორმაციის გაცემა პროდუქტის შესახებ, რაც იწვევს მის მიმართ ინტერესის ფორმირებას. ამ შემთხვევაში, პროდუქტის შეფუთვის ვიზუალური მხარე ასევე აკმაყოფილებს „რეკლამის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული დეფინიციის - „პირთა განსაზღვრელი წრისადმი გამიზნულობის“ ელემენტს და, ამდენად, იძლევა საფუძველს, რომ პროდუქტის შეფუთვა მასზე დატანილი ვიზუალიზაციით, არაორაზროვნად და უალტერნატივოდ ჩაითვალოს რეკლამად, „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დეფინიციის მიზნებისათვის.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ ი/მ „ანი გაჩეჩილამის“ ქმედების ორივე ფორმა - ნაწარმის შეფუთვაზე გამოსახულების დატანა და სოციალური ქსელის „ფეისბუქის“ მეშვეობით პროდუქტზე დატანილი გამოსახულებების გავრცელება, წარმოადგენს პროდუქციის რეკლამირებას და ეჭვევა „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულაციის სფეროში.

რაც შეეხება, იმ გარემოებას თუ რაში გამოიხატა კონკრეტულად სამართალდარღვევა და ექცევა თუ არა განსახილველი საკითხი ი/მ „ანი გაჩეჩილამის“ გამოხატვის თავისუფლების იმგვარ სფეროში, რომელიც არ შეიძლება დაექცემდებაროს შეზღუდვას. პალატა განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინდივიდუალური გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი სამუჯალებით.

აზრის გამოხატვის თავისუფლების ძირითადი უფლება ადამიანის უფლებებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ჰირველადი უფლებაა. იგი თავისუფლი და დემოკრატიული საზოგადოების არსებობის საფუძველია. ეს უფლება ადამიანებს აძლევს იმის გარანტიას, რომ თავისუფლად გამოხატონ თავიანთი ნაფიქრი, მაშინაც კი, როცა ეს ხდება მისი ყოველგვარი შემოწმების გარეშე.

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, უფლებათა განხორციელება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს იხეთი პირობებით, რომელიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად, ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი ხელს არ უშლის სახელმწიფოებს, განახორციელონ რადიომაუწყებლობის, სატელევიზიო ან კონექტოგრაფიულ საწარმოთა ლიცენზირება. ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ის განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექცემდებაროს ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული. უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწესრიგობისა თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

აზრის გამოხატვის თავისუფლება არ შეიძლება გავიგოთ, როგორც საყოველთაო თავისუფლების კანონის მიღმა არსებული თავისუფლება. ნებისმიერი სუბიექტი თავისუფალია მანამ, სანამ მისი უფლების განხორციელებით ზიანი არ ადგება სხვათა უფლებას. ამ თავისუფლების შეზღუდვა სახელმწიფოს მხრიდან გამართლულია, როგა აზრის გამოხატვა ხელს უწყობს რასობრივი და უროვნული შუღლის გაღრმავებას, სიძულვილს და დამამცირებელ დამოკიდებულებას ამჟღავნებს ეთნიკური, რასობრივი თუ რელიგიური ჯგუფების მიმართ, აქეზებს უხამსობას, მაღადობას და ა.შ. აზრის გამოხატვის თავისუფლება არ უნდა იქცეს საზოგადოების დემოკრატიული ინსტიტუტებისათვის საფრთხედ. განვითარებული გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს, როგა იგი დაუპირისპირდება ადამიანის პატივსა და ღირსებას. არც ერთი აზრი არ არის იმაზე მეტად ფასეული, ვიდრე ადამიანის პატივი და ღირსებაა.

პალატა კვლავ განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა და სხვა ეროვნულ დონეზე მოქმედი საკანონმდებლო აქტებით განმტკიცებულია აზრის გამოხატვის და გავრცელების უფლება, თუმცა ეს უფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის და გარკვეულ შემთხვევებში შესაძლოა იგი შეზღუდულ

იქნას. თავად შეზღუდვის საფუძვლები კი მოცემულია, როგორც საქართველოს კონსტიტუციაში, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში.

პალატა განმარტავს - იმისათვის, რათა დადგინდეს კანონიერი და ოანაზომიერი იყო თუ არა გამოხატვის უფლების შეზღუდვა, პირველ რიგში უნდა გაირკვეს არის თუ არა ეს ჩარევა კანონის საფუძველზე განხორციელებული ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავის პრაქტიკაში არაერთხელ განაცხადა, რომ კანონმა უნდა დააკმაყოფილოს გარკვეული მოთხოვნები. საქმეზე ~ „სანდო თაიმსი“ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (THE SUNDAY TIMES v. THE UNITED KINGDOM), ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოყო თრი მოთხოვნა, რაც გამომდინარეობს - „შეზღუდვა გათვალისწინებულია კანონით“ - კრიტერიუმიდან, კერძოდ, „პირველ რიგში, კანონი უნდა იყოს ადვილად ხელმისაწვდომი: მოქალაქეებს, გარემოების მიხედვით, უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, გაერკვნენ, რომელი სამართლებრივი ნორმები გამოიყენება მოცემულ შემთხვევაში; მეორე, ნორმა არ შეიძლება ჩაითვალოს „კანონად“, თუ იგი არ არის ფორმულირებული საკმარისი სიცხადით, რაც მოქალაქეს მისცემს შესაძლებლობას, შეუსაბამოს მას თავისი მოქმედება: ადამიანის უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, საჭიროებისამებრ, შესაბამისი დახმარებით, შექმნილი გარემოებებისათვის გონივრულ ფარგლებში. განკვრიტოს ის შედეგები, რომლებიც ასეთ მოქმედებას შეიძლება მოჰყვეს.“

პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ „რეკლამის შესახებ“ საქართველოს, კანონი საკმარისი სიცხადით და დეტალურად განსაზღვრავს იმ კრიტერიუმების ჩამონათვალს. რომელთა საფუძველზეც რეკლამა შეიძლება დაექცემდებაროს გავრცელების შეზღუდვას. კანონის შინაარსი გონიერ ადამიანს უქმნის სავარაუდო შედეგის განკვრეტის შესაძლებლობას. ამდენად, სასამართლოს დადგენილად მიაჩნია, რომ ჩარევა განხორციელებული იყო „კანონით გათვალისწინებული“ შეზღუდვის საფუძველზე.

შეზღუდვის მართლზომიერების შეფასებამდე, პალატა დამატებით მიუთითებს - კონვენციის მე-10 მუხლით დაცულ გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებით მოქმედ სტანდარტებზე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის შეფასებისას, მნიშვნელოვანია რამდენიმე საგულისხმო მიდგომის გათვალისწინება:

1. იმის მიხედვით, თუ რა ტიპის და შინაარსის გამოხატვასთან გვაქვს საქმე, უნდა გაკეთდეს დიფერენცირება, ერთი მხრივ საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე საჯარო დებატებში წვლილის შეტანით გამოხატვასა და მეორე მხრივ, კომერციული მიზნებით პროდუქციის რეკლამირებაზე მიმართული ინფორმაციის გავრცელებას (გამოხატვას) შორის. დიფერენცირება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სახელმწიფოები სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის გაცილებით ფართო მიხედულების ფარგლებით, როდესაც ინფორმაციის გავრცელება

ემსახურება კომერციულ მიზნებს სასამართლომ ეს მიღვომა გაიმეორა მათ მორის, გამოხატვის თავისუფლებაზე სასამართლოს ფახლეს გადაწყვეტილებაში საქმის სეკმადიენის შპს ლიტვის წინააღმდეგ (SEKMADIENIS LTD. v. LITHUANIA).

2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საპირწონედ, სხვა მიზნებთან ერთად, აღიარებს საზოგადოებრივი მორალის და პირთა რელიგიური გრძნობების დაცვის მიზნებს, რაც ნიშნავს იმას, რომ მიუხედავად იმისა, გვხვდება თუ არა ისინი სახელდებით საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობაში, სასამართლო ვალდებულია იხელმძღვანელოს ზემოხსენებული სტანდარტით და დაიცვას კონვენციითა და სასამართლოს პრაქტიკით აღიარებული უფლებები.

3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დამკვიდრებული განმარტებით, შეუძლებელია არსებობდეს მორალის თაობაზე ზოგადი ევროპული კონცეფცია. მოსაზრებები მორალის მოთხოვნების შესახებ განსხვავებულია სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა დროს. საკუთარი ქვეყნის რეალიებთან თავიანთი პირდაპირი და უწყვეტი კავშირის წყალობით, სახელმწიფოს ხელისუფლება და ადგილობრივი სასამართლო ორგანოები, საერთაშორისო მოსამართლესთან შედარებით, პრინციპულად უკეთეს მდგომარეობაში არიან, გამოთქვან აზრი ამ მოთხოვნების ზუსტი შინაარსის, ისევე როგორც, „შეზღუდვებისა“ და „საწევების“ „აუცილებლობის“ თაობაზე ოწო პრემინგერის ინსტიტუტი ავსტრიის წინააღმდეგ (OTTO-PREMINER-INSTITUT v. AUSTRIA). შესაბამისად, ეროვნული მოსამართლე უკეთ არის აღჭურვილი შესაძლებლობით, იცნობდეს მისი ქვეყნის საზოგადოების იმუამინდელ მორალურ ღირებულებებს, ეთიკურ ნორმებს და ღირებულებით წარმოდგენებს.

4. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, თავის გადაწყვეტილებებში არაერთგზის ხაზს უსვამს, რომ მორალის გაგება ცვალებადია და მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია, დროზე, ადგილზე და საზოგადოებაში არსებულ იმუამინდელ განწყობებზე. მორალურისა და ზნეობრივის თაობაზე წარმოდგენები ექვემდებარება ცვლილებას და ერთსა და იმავე საზოგადოებაში შესაძლოა ერთსა და იმავე საკითხზე გარკვეული დროის შუალედით, რადიკალურად სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება არსებობდეს.

ამიტომ მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას, რომ არაეთიკურობის საზომად სასამართლო ხელმძღვანელობს საზოგადოებაში საქმის განხილვის დროისათვის არსებული წარმოდგენებით, ეთიკური ღირებულებებით და ნორმებით. შესაძლებელია, მომავალში აღნიშნული ღირებულებითი წარმოდგენები დაქვემდებარონ გადახედვას და განიცადონ რადიკალური ცვლილებაც კი, თუმცა სასამართლოს შეფასების მასშტაბს, კონკრეტული საქმის განხილვისას, წარმოადგენს იმუამინდელი საზოგადოების დამოკიდებულება და ღირებულებითი წარმოდგენები მორალსა და ზნეობაზე.

შესაბამისად, სასამართლოს შეფასების მასშტაბი ვერ იქნება კრიტიკული - „უნდა პქონდეს თუ არა კონკრეტული ქმედებას შეურაცხმყოფელი დატვირთვა“ ან „გამართლებული და მისასალმებელია თუ არა, ასეთი შეხედულების არსებობა“. სასამართლო უფლებამოსილია იხელმძღვანელოს მხოლოდ საზომით - „საშუალო სტატისტიკური გონიერი ადამიანის გადმოსახედიდან, აქვს თუ არა კონკრეტულ ქმედებას შეურაცხმყოფელი დატვირთვა საქმის განხილვის დროისათვის“.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, არაერთგზის განმარტავს, რომ გამოხატვის თავისუფლების რეალიზება მოიცავს ამავე დროს პასუხისმგებლობას, რომ ეს უფლება არ იქნება გამოყენებული მარტოოდენ იმ მიზნით, რათა შეიღაბოს ადამიანთა ჯგუფის უფლებები, რელიგიური გრძნობები ან ღირებულებითი წარმოდგენები. სწორედ ამიტომ, კონვენციის მე-10 მუხლის ფარგლებში შედარებით დაბალი დაცვის სტანდარტით სარგებლობს გამოხატვის ფორმები, რომლებიც მიზნად ისახავს და ემსახურება მხოლოდ კომერციული მიზნებით პროდუქციის რეალიზაციას და არ შეაქვს წვლილი საზოგადოებისათვის მნიშვნელობის მქონე საკითხებზე საჯარო დისკუსიასა და დებატებში.

პალატა მხარეთა ყურადღებას კვლავ გააძვილებს „რეკლამის შესახებ“ საქართველოს, კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის დეფინიციაზე - არაეთიკურია რეკლამა. რომელიც ფიზიკურ მირთა ეროვნების, რასის, კროფესიის, სოციალური კუთვნილების, ასაკის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და ფილოსოფიური მრჩამსის მიმართ შეურაცხმყოფელი სიტყვებისა და შედარებების გამოყენებით არღვევს საყოველოთაოდ აღიარებულ პუმანურ და ზნეობრივ ნორმებს, ხელყოფს ეროვნულ და მსოფლიო კულტურულ საგანძურში შემავალ ხელოვნების ობიექტებს, ისტორიულ და არქიტექტურულ ძეგლებს, ბდალავს სახელმწიფო სიმბოლიკას (დროშა, გერბი, პიმნი), საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს ეროვნულ ვალუტას, რელიგიურ სიმბოლოებს, ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, მათ საქმიანობას, პროფესიას ან საქონელს.

მოცემულ პირობებში, პალატა განმარტავს, რომ საკითხი იმის თაობაზე, იქნებოდა თუ არა გამოყენებული 4 დიზაინი, ცალკე აღებული. წინააღმდეგობაში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან, არ წარმოადგენს განსახილვები საქმის მსჯელობის საგანს, რის გამოც სასამართლო მოვლებულია შესაძლებლობას აღნიშნული დავის ფარგლებში იმსჯელოს საჩივარში დასმულ პიპოლეტურ საკითხებზე. საჩივრის ფარგლებში მსჯელობის საგანია სამართალდარღვევის ფაქტის დადგენა, ანუ სასამართლომ შეფასება უნდა მისცეს, რამდენად წარმოადგენდა არაეთიკურ რეკლამას ერთის მხრივ, წარმოებულ პროდუქციაზე (პრეზერვატივზე) შერჩეული ვიზუალიზაციის დატანა (4 სხვადასხვა დიზაინი) და მეორე მხრივ, პროდუქტის შეფუთვის ამსახველი ვიზუალიზაციის განთავსება ინტერნეტ სივრცეში. სასამართლომ

ასევე შეფასება უნდა მისცეს, რამდენად სწორად დაექცემდებარა აღნიშნული რეკლამები არაეთიკურობის კრიტერიუმით გავრცელების შეზღუდვას და განხორციელებული ჩარევა იყო თუ არა ლეგიტიმური მიზნის პროპორციული.

ქალატა დამატებით განმარტავს, რომ განსახილველი საკითხი ეხება რელიგიისა და ეროვნული ღირებულებიდან გამომდინარე მორალურ შეხედულებებს.

ადამიანს უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის თანახმად, ყველას აქვთ უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას და, აგრეთვე, თავისუფლებას როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად. საქვეყნოდ ან განვერძოებით, გაცხადოს თავისი რელიგია თუ რწმენა აღმსარებლობით, სწავლებით, წესების დაცვითა და რიტუალების აღსრულებით. რელიგიის ან რწმენის გაცხადების თავისუფლება ექვემდებარება მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის თუ მორალის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.

ქალატა აქვე მოიხმობს საქმეს სკუმადიგენის შპს ლიტვის წინააღმდეგ (SEKMADIENIS LTD. v. LITHUANIA), სადაც სასამართლომ განმარტა, რომ კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი ნათლად მღუთითებს - გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობა მოიცავს თანმდევ ჰასუხისმგებლობას და მოვალეობებს. რელიგიური მრჩევების მიმართებით კა ძირითადი მოთხოვნაა, რომ გამოხატვის თავისუფლება ხელს არ უშლიდეს კონვენციის მე-9 მუხლით გათვალისწინებული რელიგიის თავისუფლებების მშვიდობიან განხორციელებას. [...]

სასამართლო დამატებით მოიშველიებს რელიგიის თავისუფლების საკითხებზე გაერთიანებული ერების სპეციალური მომხსენებლის Heiner Bielefeldt-ის მოსაზრებას, რომლის თანახმად „ფართოდ გავრცელებული შთაბეჭდილება, რომ გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს უძირველეს ლიბერალურ ღირებულებას, ხოლო რელიგიის თავისუფლებას უფრო მეტად დაცვითი უფლებაა, მცდარია. „ხშირად არ აქცევენ ყურადღებას, რომ რელიგიის თავისუფლება, თავისი არსით, ადამიანის თავისუფლებათა იგივენაირ ლოგიკას ეფუძნება, როგორსაც გამოხატვის თავისუფლება“. ამიტომ, [მათი დაპირისპირების] საკითხი უკავშირდება არა მხოლოდ რელიგიური გრძნობების დაცვას, ან უფრო მეტიც, მხოლოდ რელიგიის მიმართ პატივისცემას, არამედ ეს ეხება ადამიანებს და მათ თავისუფლებას. რელიგიურ საკითხებში იცხოვონ ისე, როგორც ეს მათ წარმოდგენებს შეესაბამება.“

მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორის არგუმენტები გამოყენებულ წარწერებსა და გამოსახულებაზე ემყარება შემდეგს:

1. „სამეფო კარი თამარში“ და გამოსახულება - თამარ მეფე არის საჯარო პირი, ხოლო

საჯარო პირთა გამოსახულების გამოყენება საჯარო დისკუსიისა და კომუნიკაციის ფორმატში დაცულია გამოხატვის თავისუფლებით.

2. წარწერა „ჩამოვკრავდი, მარა ნათლისღებაა“ - წარმოადგენს სახელოვნებო გამოხატვის სახით არსებული ნაწარმოების ზედმიწევნით იდენტურ შინაარსს. შესაბამისად, შინაარსის გამეორება, რომელიც უკვე სახელოვნების გამოხატვის წარიღვა იყო, არ შეიძლება მიჩნეულიყო არაეთიკურად.
3. გამოსახულება, რომელსაც „მაკურთხებელი ხელი“ ეწოდა - ის რომ მარცხენა ხელის ასეთი ფორმა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და მღვდელმსახურების ნაწილია, ასევე ის რომ გამოსახულება სწორედ ამ სიმბოლოს მსგავსია უნდა დადასტურებულიყო შესაბამისი მტკიცებულებებით და არა მხოლოდ მოსამართლის ცოდნითა და შეხედულებით.
4. წარწერა „ძლევად საკვირველი“ და გამოსახულება გვირგვინი - საჩივრის ავტორისათვის გაუგებარია პროდუქტზე ისტორიული მოვლენის აღმენდვა რატომ არის არაეთიკური და რის საფუძველზე გაიგივა სასამართლოშ სამეფო გვირგვინი ეროვნულობასთან. სამეფო გვირგვინი ზოგადად სახელმწიფო მმართველობის ფორმას შესაძლოა უკავშირდებოდეს და მისი გაიგივება ეროვნულობასა და ეროვნული ღირებულებებთან გაუმართლებელია.

პალატა მიუთითებს პირველი ინსტანციის მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე და დამატებით განმარტავს შემდეგს:

რასაკვირველია ყველა სახის რელიგიური სიმბოლოსა თუ პიროვნების გამოხატვა სარეკლამო მასალაზე არ შეიძლება მიჩნეულ იქნას საჯარო მორალთან წინააღმდეგობრივ ქმედებად, თუმცა, ქმედება, რომელიც შეიძლება დაექვემდებაროს კანონის საფუძველზე მეზღვდვას, თავისი ფორმითა და შინაარსით განსაკუთრებულად შეურაცხმყოფელი უნდა იყოს და ასეთად აღიქმებოდეს მესამე, დამოუკიდებელი შემფასებლისათვისაც. უმთავრესი კრიტერიუმი, რითიც შეიძლება გამოვარჩიოთ რელიგიის, რელიგიური ფილიოს, ძეგლის შეურაცხყოფა, არის ის გარემოება, თუ კონკრეტულად ვინ არის „თავდასხმის ობიექტი“. როგორც წესი, ეს უნდა იყოს რელიგიის უშუალოდ ცენტრალური ფილიო, რომელიც მოღიანად რელიგიასთან/მსოფლმხედველობასთან ასოცირდება. ასევე, შესაძლოა შეურაცხყოფა მიმართული იყოს იმ სუბიექტის მიმართ, ვინც თვალწატლივ წარმოადგენს ამ რელიგიას, ან სიმბოლურად ასოცირდება მასთან. ამასთან, აუცილებელი პირობაა, რომ შეურაცხყოფა არ წარმოადგენდეს სიმართლეს, იგი უნდა იყოს უტრირებული, არამართებული შინაარსის. ვინაიდან სიმართლის გადმოცემა, თუნდაც გარკვეულწილად არასასურველი ფორმით არ შეიძლება ჩაითვალოს ისეთ შეურაცხყოფად, რომლის აღვეთაც კანონით დასამვები იქნება. მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს აგრეთვე იმ საზღვრის დადგენა, თუ რა შეიძლება სცდებოდეს გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს და წარმოადგენდეს რელიგიის შეურაცხყოფას.

პირველ რიგში, გამოყენებულ ოთხივე ვიზუალიზაციასთან მიმართებით, სასამართლო ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საჩივრის ავტორის მხრიდან კერ იქნა წარდგენილი კერც ერთი მტკიცებულება (ინფორმაცია საჯარო შესვედრის, სემინარის, ტრენინგის, დისკუსიისა ან სხვა აქტივობებში მონაწილეობის შესახებ), რაც დაადასტურებდა ი/შ „ანი გაჩეჩილაძის“ მიერ პროდუქციის წარმოებას არა კომერციული მოგების მიღებისათვის, არამედ საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით. შესაბამისად, სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ ი/შ „ანი გაჩეჩილაძის“ მიერ წარმოებული პროდუქციის რეკლამირება უნდა შეფასდეს გამოხატვის თავისუფლების კომერციული მიზნებით სარგებლობის ფარგლებში.

### 1. წარწერა - „სამეფო კარი თამარში“ და თამარ მეფის გამოსახულება.

პალატა მიუთითებს, რომ საჩივრის ავტორი სადავოდ არ ხდის პროდუქტზე თამარ მეფის გამოსახვის ფაქტს. ხოლო, რაც შეეხება მოსაზრებას, რომ აღნიშნული გამოსახულების, როგორც საჯარო პირის გამოყენება საჯარო დისკუსიისა და კომუნიკაციის ფორმატში დაცულია გამოხატვის თავისუფლებით - პალატა კურ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მოსაზრებას თამარ მეფის მხოლოდ საჯარო პირად შეფასების ნაწილში. ასევე, პრეზერვატივების წარმოებისა და რეკლამირების საჯარო დისკუსიად და საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე დებატებად კვალიფიცირების თვალსაზრისით.

პალატა ხაზგასმით განმარტავს, რომ მოცემული დავის ფარგლებში არსებოთ მნიშვნელობა აქვს თამარ მეფის სტატუსის სწორად განსაზღვრას. ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის წარმომადგენელი თამარ მეფე საქართველოს მონარქი იყო 1184 წლიდან. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ იგი შერაცხულია წმინდანად და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 14 მაისს აღნიშნავს მისი ხსენების დღეს, აღიარებს რა მის განსაკუთრებულ წვლილს ეკლესიის წინამე. საქართველოს ტერიტორიაზე არსებობს არაერთი ტაძარი, რომელიც მისი სახელობისაა. ასევე ფრესკები. შესაბამისად, შეუძლებელია მისი გაიგივება, მხოლოდ საჯარო პირთან, მისი წმინდანობის შესახებ ფაქტის იგნორირებით.

სასამართლო კიდევ ერთხელ იმეორებს, რომ განსახილველ საქმეზე შეფასების საფარის არ წარმოადგენს, გამართლებულია ან მისასალმებელია თუ არა საზოგადოებაში ასეთი წარმოდგენების და მორალური ღირებულებების არსებობა. სასამართლო ვალდებულია იხელმძღვანელოს არსებული შეტედულებებით და გაუმართლებელი თავდასხმისაგან დაიცვას ამ შეხედულების მქონე პირთა მორალური და ზნეობრივი დამოკიდებულებები და რელიგიური გრძნობები.

პალატას მიაჩნია, რომ თამარ მეფის ისტორიული, კულტურული და რელიგიური მნიშვნელობის გამო, მისი ზემოხსენებულ კონტექსტში მოხსენიება, დღევანდელი საზოგადოების რიგითი გონიერი ადამიანის გადმოსახედიდან აშკარად აღიმება შეურაცხმყოფლად და დამაკანინებლად. აღნიშნული ხელყოფა საზოგადოების ღირებულებით და ზნეობრივ წარმოდგენებს და გაუმართლებლად თავს ესხის.

## კონკრეტული რელიგიის მიმდევართათვის მნიშვნელოვან რელიგიურ ფიგურას.

შესაბამისად, პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ წარწერა - „სამეფო კარი თამარში“ და თამარ მეფის გამოსახულება, გარდაუყალად იწვევს მართლმადიდებლური აღმსარებლობის მქონე პირთა რელიგიური გრძნობების შეურაცხვოფას და საზოგადოებრივი მორალის ხელყოფას. გამოხატვის თავისუფლების ბოროტად გამოყენებით ცდილობს, საზოგადოებაში არსებულ ლიტერატურულებით წარმოდგენერირობა კომერციული მიზნებით გამოყენებას. შესაბამისად, აღწერილი ვიზუალიზაციის განთავსება პროდუქტზე, ისევე როგორც მისი გავრცელება ინტერტით, უნდა შეფასდეს როგორც არაეთიკური რეკლამა, რაც სცდება გამოხატვის თავისუფლებით დაცულ ფარგლებს.

### 2. წარწერა - „ჩამოვარავდი, მარა ნათლისლებაა“.

პალატა მიუთითებს, რომ ნათლისლება უმცელესი ქრისტიანული დღესასწაულია, თორმეტ საუფლო საეკლესიო დღესასწაულთაგან ერთ-ერთი. დღესასწაული აღინიშნება 19 იანვარს და საქართველოს შრომის კოდექსის თანახმად, საქართველოში წარმოადგენს უქმე დღეს. სახარების მიხედვით, ეს დღესასწაული უკავშირდება მდინარე იორდანეში იოანე ნათლისმცემლის მიერ მაცხოვრის ნათლისლებას, ანუ მონასტელის, სწორედ ამ დღიდან იღებს სათავეს ნათლობის წესი და საეკლესიო პირველი საიდუმლო.

მოცემულ შემთხვევაში, პალატა დამატებით განმარტავს, რომ ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მოსაზრებებს, კერძოდ, სიმღერა და მისი ტექსტის შინაარსი სხვა რეგულაციის ფარგლებში უქცევა, ხოლო იმავე შინაარსის გამოყენება რეკლამის სახით, შეურაცხმყოფელია. ამ შემთხვევაში დარღვევის დადგენისათვის არსებითია არამარტო ნათლისლების, როგორც ქრისტიანული დღესასწაულის მნიშვნელობა, არამედ კონკრეტული რელიგიური ჯგუფის - მართლმადიდებელი ეკლესიის მოძღვრების შეურაცხმყოფელი პათეტიკა ვიზუალიზაცია და წარწერა მისი შინაარსის გათვალისწინებით, მიემართება რელიგიური პირთა ცხოვრების წესისკენ. რაც გულისხმობს ქრისტიანულ სწავლებას, მარხვის დღეებში სექსუალური კავშირებისაგან თავშეკავების აუცილებლობასთან დაკავშირებით და სხვა. წარწერა თავისი შინაარსით და პროდუქტთან ერთობლიობაში აღქმით, იჭრება მორწმუნეთა ინტიმურ სიუროში და აშკარა, პირდაპირ და განზრახ დატინვას წარმოადგენს მორწმუნებისა და მათი ცხოვრების წესისადმი, რაც ერთობლიობაში, ესახურება. კონკრეტული რელიგიის ვიზუალიზაციის განთავსება პროდუქტზე, ისევე როგორც მისი გავრცელება ინტერნეტით აშკარად წარმოადგენს არაეთიკურ რეკლამას.

### 3. გამოსახულება „მაკურთხებელი ხელი“.

პალატა მიუთითებს, რომ მიუხედავად განმარტებისა თუ რას მოიაზრებდა მწარმოებელი აღნიშნულ ვიზუალიზაციაში, აღნიშნული ხელის ექსტრემული

უკავშირდება რელიგიას, მისი გამოყენება ხდება რელიგიური პირების მიერ. მაკურთხებელი ხელით გამოსახულია როგორც მაცხოვარი იესო ქრისტე, ასევე არაერთი წმინდანი, ასევე, მას იყენებენ სასულიერო პირები მრევლის კურთხევის მიზნით.

პალატა დამატებით განმარტავს, რომ ვერ გაიზიარებს საჩივარში გამოთქმულ მოსაზრებებს, კერძოდ, სპეციალური ცოდნის გარეშე ღმბიურებული დამკირვებლისთვისაც ცხადია, რომ ე.წ. „მაკურთხებელი ხელი“ ასოცირებადის რელიგიასთან, ამგვარი წყობა გვხვდება, როგორც ქრისტიანული რელიგიის ნაწარმოებებში, ასევე ხატწერასა და ხელოვნებაში. შესაბამისად, აღნიშნული აღიქმება რელიგიური გრძნობებისა და მორწმუნება შეურაცხეყოფად. პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ კრიტიკა, ირონიული შეფასება/გამოხატვა, ან რეალური ამბის გადმოცემა დასაშვებია, ისე რომ იგი არ იქნება აღქმული როგორც შეურაცხეყოფა. თუმცა, შესაძლოა ასეთი ამბის გადმოცემისას ან მის გარეშე, რელიგია მისი სიმბოლო გაიგივდეს გარკვეულწილად, ობიექტურად შეურაცხემყოფელ და დამამცირებელ სიმბოლოსთან - საგანთან. ძირითადად ამ უკანასკნელში მოიაზრება სექსუალური ხასიათის ნივთი, სიმბოლო. ასევე, პირდაპირი ფორმით მოხსენიება შეურაცხემყოფელი ფორმით. შესაბამისად, აღწერილი ვიზუალიზაციის განთავსება პროდუქტზე, ისევე როგორც მისი გავრცელება ინტერნეტით აშკარად წარმოადგენს არაეთიკურ რეკლამას.

#### 4. წარწერა - „ძლევად საკვირველი“ და გამოსახულება გვირგვინი.

პალატა მიუთითებს, რომ (დიდგორის ბრძოლა ანუ ძლევად საკვირველი) დიდგორის ბრძოლას გამორჩეული ადგილი უკავია საქართველოს ისტორიაში. ეს გამარჯვება დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის, ერთიანობის, ქვეყნისთვის თავდადების სიმბოლოა. პროდუქტზე გამოსახულია სამეფო გვირგვინი, რომელიც სახელმწიფო მმართველობის ფორმას უკავშირდება და ეროვნული ღირებულების მატარებელია.

მოცემულ შემთხვევაში, პალატა დამატებით განმარტავს, რომ აღნიშნული ვიზუალიზაცია არაორაზროვნად იწვევს დიდგორის ბრძოლის და საქართველოს ისტორიული გამარჯვების ასოციაციას, ფრაზას გააჩნია მკვეთრად და აშკარად გასაგები საზოგადოებისათვის ცნობილი და განსაკუთრებული შინაარსი. სასამართლო აღნიშნავს, რომ ფრაზა „ძლევად საკვირველი“ და მისი გამოყენება სექსუალური ხასიათის ნივთზე კონკრეტული ვიზუალიზაციით, ისევე როგორც მისი გავრცელება ინტერნეტით აშკარად წარმოადგენს არაეთიკურ რეკლამას, აღნიშნული ხელყოფა საზოგადოების ღირებულებით დაზნეობრივ წარმოადგენებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პალატას მიაჩნია, რომ თითოეული რეკლამა არის შეურაცხემყოფელი ქმედება, რომელიც წინააღმდეგობრივია საჯარო მორალთან და ეძღვევა „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონით განმტკიცებულ ტერმინ - არაეთიკურ რეკლამაში.

პალატა დამატებით განმარტავს, რომ როდესაც სახეზეა კონსტიტუციითა და ადამიანს

უფლებათა ეკროპული კონვენიით გარანტირებულ უფლებათა შეპირისპირება, სხვა სამართლებრივად დაცული ინტერესთან (უფლებასთან), სასამართლოს აქვს შეფასების თავისუფალი სივრცე. იმისათვის რათა დადგინდეს, რამდენად არის შეზღუდვა აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში, აუცილებელია შეფასდეს, რამდენად სწორად მოხდა დაცულ ინტერესთა შეპირისპირება.

ეჭვს არ იწვევს ის გარემოება რომ ეროვნულ დონეზე საქართველოში, პიროვნებები და რელიგიური სიმბოლოები, რომლებიც გამოსახულია სექსუალური ხასიათის საგნეზზე - პრეზერვატივზე აღიქმება, როგორც ქმედება მიმართული - საჯარო მორალის წინააღმდეგ. ამასთან, განსახილველ შემთხვევაში, უნდა აღინიშნოს რომ ადმინისტრაციულ პასუხისებაში მიცემული პირისათვის ადვილად შეცნობადი იყო და შეეძლო გაეთვალისწინებინა ის გარემოება, რომ მისი ქმედება ობიექტურად აღქმადი იქნებოდა, როგორც რელიგიის, რელიგიური სიმბოლიკისა და ძეგლების იმგვარი შეურაცხყოფა, რომელიც მიემართებოდა საზოგადოების ფართო ნაწილისაკენ. პალატა აქვთ მიუთითებს, საქმეზე ოტო პრემინგერის ინსტიტუტი აესტრიის წინააღმდეგ (OTTO-PREMINGER-INSTITUT v. AUSTRIA), გაკეთებულ განმარტებაზე - აზრის გამოხატვის თავისუფლება გულისხმობდა პიროვნების პასუხისმგებლობასაც, შეძლებისდაგვარად თავი აერიდებინა ისეთი გამოხატვისაგან, რომლებიც „სრულიად უმიზუზოდ შეურაცხყოფდა სხვას, არღვევდა მის უფლებებს და არ ემსახურებოდა ისეთი საკითხების საჯარო განხილვას, რომელიც ხელს შეუწყობდა პროგრესს საკაცობრიო საკითხებში.

ამ შემთხვევაში, დავას არ იწვევს ის გარემობა, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, შედგენილია უფლებამოსილი ორგანოს მიერ, მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. რაც შეეხება, უშუალოდ ოქმის შედგენის საფუძველს, პალატა მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის იმგვარი დარღვევა, რამაც გამოიწვია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 159-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 41-ე მუხლის თანახმად, მოსამართლე ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესახებ დადგენილებით ადასტურებს იმ მოვალეობის შესრულების ვალდებულებას, რომლის შეუსრულებლობისთვისაც პირს შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი, და დადგენილებაში განსაზღერავს დარღვევის გამოსახორცებლად გასაქარებელ ღონისძიებებს, რომელთა აღსრულებაც ხდება კანონით დადგენილი წესით.

მოცემული დანაწესის თანახმად, იმ პირობებში, როდესაც პალატას მიაჩინა, რომ დადასტურებულია ი/მ „ანი გაჩეჩილამის“ მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 159-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის ფაქტი, მასვე ასევე მართებულად აეკრძალა პროდუქტზე განთავსებული არაეთიკური რეკლამების - „სამეფო კარი თამარში“

(წარწერა და გამოსახულება), „ძლევაი საკვირველი” (წარწერა და გამოსახულება), „ჩამოვკრავდი, მარა ნათლისძებაა” (წარწერა), „მაკურთხებელი ხელი” (გამოსახულება) გავრცელება/განთავსება (პროდუქტზე, სოციალურ ქსელში და სხვა) და დაუგადა გავრცელებული/განთავსებული აღნიშნული არაეთიკური რეკლამების ამოღება საქართველოს სასაქონლო ბაზრიდან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობს გასაჩივრებული დადგენილების გაუქმების ფაქტობრივი და სამართლური საფუძველი.

საპელაციო პალატა განმარტავს, რომ თავად ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმებით არ არის განსაზღვრული სამართალდარღვევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებისას სამართალწარმოებაში მტკიცების ტვირთის ადმინისტრაციულ ორგანოზე გადაწყვეტილება. სადაც საკითხთან მიმართებაში სადაცოა სამართალდარღვევის ფაქტის არსებობა-არარსებობა, რა დროსაც მოდავე მხარეებზე მტკიცების ტვირთი აუცილებლად პროპორციულად უნდა იქნას გადაწყვეტილი დავა.

პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ მტკიცების შესაძლებლობა არ არის შეზღუდული. ამ კითარებაში, პალატას მიაჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არსებითად სწორად შეაფასა საქმის გარემოებები. ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან საპროცესო დარღვევას და ობიექტურად კანონიერად იქნა გადაწყვეტილი დავა.

### სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 271-ე, 273-ე, 278-ე, 279-ე მუხლებით და

### დადგინა:

1. ი/მ „ანი გაჩეჩილაძის” საჩივარი არ დავმაყოფილდება.
2. უცელელად დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ კოლეგიის 2018 წლის 04 მაისის დადგენილება.
3. დადგენილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მოსამართლე

ლევან მურუსიძე

